განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია ფინანსური სექტორის ზედამხედველობის მიზნით, ეფექტური და დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობით, რომელიც ორიენტირებული იქნება მხოლოდ საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვისკენ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად და ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, შესწავლილ იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი ბაზა. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისას, გამოიკვეთა საბანკო ზედამხედველობის რეჟიმის 3 ტიპი: **კომბინირებული** (C), **განცალკევებული** (S), **შერეული** (M).

კომბინირებული (C) **მოდელის** შემთხვევაში, სავალუტო პოლიტიკის ფუნქცია და საბანკო ზედამხედველობა ეკისრება ცენტრალურ ბანკს. **განცალკევებული** (S) **მოდელის** პირობებში საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ხორციელდება ცალკე, ცენტრალური ბანკის სპეციალური სააგენტოსგან დამოუკიდებლად, ხოლო **შერეული** (M) **მოდელის** ქვეყნებში საბანკო სექტორის რეგულირება არ არის ცენტრალური ბანკის პირდაპირი ფუნქცია, თუმცა რჩება ზოგიერთი საპასუხისმგებლო საზედამხედველო პასუხისმგებლობა, როგორიცაა საზედამხედველო პროცესის კონტროლი, რომელიც ძირითადად ხორციელდება ცალკე სპეციალური სააგენტოს მიერ.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, როგორებიცაა: ავსტრალია, ბელგია, კანადა, დანია, ფინეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, არსებობს ცენტრალური ბანკისაგან განცალკევებული ინსტიტუტი (კომისია, სააგენტო, ოფისი), რომელიც დამოუკიდებლად უზრუნველყოფს საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებას, ქვეყნების ნაწილში კი, როგორებიცაა: ავსტრია, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი, აპრობირებულია შერეული მოდელი, სადაც საბანკო სექტორის რეგულირება არ არის ცენტრალური ბანკის პირდაპირი ფუნქცია, თუმცა საზედამხედველო პროცესის კონტროლი ძირითადად ხორციელდება ცალკე სპეციალური ინსტიტუტის (ბანკი, კომისია) მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, განცალკევებული და შერეული საბანკო ზედამხედველობის მოდელების, როგორც საუკეთესო გამოცდილების, ინტეგრირება ქართულ კანონმდებლობაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ბანკთან დამოუკიდებელი, ქმედითი ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს შექმნა, რომელიც განახორციელებს საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციას - ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, სისტემური რისკის კონტროლს, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, პოტენციური რისკების შემცირებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, 2015 წლის 1 ივლისიდან საქართველოს ეროვნულ ბანკთან იქმნება სსიპ - საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება: საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა,

მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ მიზნით, იგი ვალდებული იქნება ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, სისტემური რისკის კონტროლს, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, პოტენციური რისკების შემცირებას.

პროექტის მიხედვით, სააგენტო თავისი საქმიანობისას არ დაექვემდებარება არც ერთ სხვა ორგანოს და თანამდებობის პირს, თუმცა იგი ეროვნული ბანკის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის ნაწილი იქნება.

სააგენტო ანგარიშვალდებული იქნება სააგენტოს საბჭოს წინაშე. სააგენტოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სააგენტოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით დაამტკიცებს სააგენტოს საბჭო.

სააგენტოს საქმიანობას უხელმძღვანელებს სააგენტოს საბჭო. სააგენტოს საბჭოს შემადგენლობაში შევა 7 წევრი, რომელთაგან ერთ-ერთი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იქნება, ხოლო დანარჩენი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროფესიონალები ეკონომიკის ან ფინანსების დარგში და რომლებსაც ექნებათ საფინანსო სფეროში მუშაობის გამოცდილება.

სააგენტოს საბჭო სააგენტოს საბჭოს წევრებისგან აირჩევს სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით.

სააგენტოს საბჭოს 2-2 წევრის (გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა) წარდგენის უფლება ექნებათ პარლამენტის თავმჯდომარეს, ფრაქციას, პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს. საქართველოს პარლამენტი 7 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევს სააგენტოს საბჭოს წევრებს, გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილი იქნება სააგენტოს საბჭოს ზოგიერთი წევრი აირჩიოს 7 წელზე ნაკლები ვადით.

საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილი იქნება სააგენტოს საბჭოს ზოგიერთი წევრი აირჩიოს 7 წელზე ნაკლები ვადით.

სააგენტოს საბჭოს ძირითადი ფუნქციები იქნება:

ა) საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ბ) სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

გ) სააგენტოს ბიუჯეტის დამტკიცება;

დ) ზედამხედველობასთან დაკავშირებული დავების განხილვა;

ე) სააგენტოს საქმიანობის კონტროლი;

ვ) საფინანსო ზედამხედველობის რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების განხილვა და შემუშავება;

ზ) სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა შენიშვნების განხილვა.

სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც სააგენტოს საბჭოსთან შეთანხმებით, 5 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარე.

ასევე, პროექტით განისზღვრება სააგენტოს უფლებამოსილება საფინანსო სექტორის ზედამხედველობის, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის რეგულირების, საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის და ზედამხედველობის, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის კუთხით.

პროექტით დგინდება ასევე კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა სააგენტოს შექმნისა და მისი ფუნქციონირების დაწყების უზრუნველყოფისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტზე, რადგან სააგენტოს დაფინანსებას განახორციელებს ეროვნული ბანკი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

პროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

პროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

პროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები თამაზ მეჭიაური, ნოდარ ებანოიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები თამაზ მეჭიაური, ნოდარ ებანოიძე